პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა
24 ოქტომბერი
1954 წელი
№ 85 (787)
ფასი 30 კაპ.
გამოცემის მე-11 წელი

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

## ჩვენი მუშაობის დასაყრდენი

საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის საფუძველია თვითმოქმედება, ფიზკულტურელთა ენთუზიაზმი, აქტიურობა. მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის სული და გულია საზოგადოებრივი კადრები — ფიზორგები, მსაჯები, საზოგადოებრივი ინსტრუქტორები.

ფიზკულტურის საზოგადოებრივი მუშაკები სამუშაოდან თავისუფალ დღეებსა და საათებს მშრომელთა შორის ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდის კეთილშობილურ საქმეს ახმარენ — ხელმძღვანელობენ სექციების მეცადინეობას, აწყობენ შეჯიბრებებს სპორტის სხვადასხვა სახეობაში, ავლენენ კარგი მომავლის მქონე სპორტსმენებს, ეხმარებიან ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების საბჭოებს მეურნეობის მოგვარებაში, სპორტული მოედნების მოსაწყობად ახალგაზრდების დარაზმვაში და, რაც მთავარია, დიდი წვლილი შეაქვთ ნიშნოსანთა და სპორტსმენ თანრიგოსანთა მომზადებაში.

საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის შთაბეჭდილებათა წიგნში ჩეხოსლოვაკიის სოფლის მეურნეობის მუშაკთა დელეგაციის მიერ ჩაწერილია: „სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ფიზკულტურისა და სპორტის პავილიონის დათვალიერებამ ბევრი შეგვძინა. როგორც კი დავბრუნდებით ჩვენს მშობლიურ სოფლებში, გაორკეცებული ენერგიით შევუდგებით საზოგადოებრივი კადრების მომზადებას, კადრებისას, რომელმაც დიდად შეუწყო ხელი ოზერნოის მტს-ის (ყირიმის ოლქი), მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის (კრასნოდარის მხარე), დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის (საქართველო) ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების საქმიანობის გარდაქმნას, მასობრივი მუშაობის ხაზით დიდი მიღწევების მოპოვებას“.

ყოველივე ზემოთქმულიდან ნათლად ჩანს, თუ რა დიდი ძალაა საზოგადოებრივი კადრები ფიზკულტურაში. პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ რაიონში, სადაც დიდი ყურადღება ექცევა ამ მნიშვნელოვან საქმეს, მუშაობა სჩქეფს, სპორტული კალენდარით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება ზუსტად ტარდება, ახალგაზრდები სიამოვნებით მონაწილეობენ შეჯიბრებაში, ცდილობენ მაღალი შედეგების მოპოვებას, სისტემატურად მეცადინეობენ სექციებში.

დღეისათვის რესპუბლიკაში მომზადებულია 811 ფიზორგი და ძირეული ფიზკულტურული კოლექტივის თავმჯდომარე, 700 საზოგადოებრივი ინსტრუქტორი და 558 მსაჯი სპორტის სხვადასხვა სახეობაში. თუ გავითვალისწინებთ, რომ რესპუბლიკაში 5.300-ზე მეტი ძირეული ფიზკულტურული კოლექტივია და მათი რიცხვი განუწყვეტლივ იზრდება, მაშინ დავრწმუნდებით. რომ აღნიშნული რაოდენობა საკმარისი არაა.

თბილისში, სადაც ფიზორგების, მსაჯების, ინსტრუქტორების მაღალხარისხოვნად მომზადების ყოველგვარი საშუალებაა, ეს საქმე თვითდინებაზეა მიშვებული. დღემდე მხოლოდ 74 მსაჯია მომზადებული სპორტის სხვადასხვა სახეობაში. გორსა და ფოთში კი ამ მიმართებით ჯერჯერობით არაფერია გაკეთებული.

შედარებით კარგი წარმატებები აქვს რუსთავს. აქ, საქალაქო კომიტეტმა კომკავშირთან მჭიდრო კავშირში შეძლო სემინარების მოწყობა, ახალმომზადებული კადრების საქმიანობაში ჩაბმა, მათი შემდგომი დაოსტატება. ქიათურაში, სადაც მუშაობა ჩაშლამდე იყო მისული, ახლა მუშაობის ამ დარგში გამოცოცხლება ემჩნევათ.

ხშირად ასეც ხდება: მთელი წლის განმავლობაში საქალაქო ან რაიონული კომიტეტები მუშაობენ საზოგადოებრივი კადრების მომზადებაზე, მოამზადებენ, შეადგენენ მათზე ცნობებს, გამოგზავნიან რესპუბლიკურ კომიტეტში და ამით დამთავრდება ყველაფერი. ეს არის საქმისადმი ფორმალური, უსულგულო დამოკიდებულება. კადრები იმისათვის უნდა მოვამზადოთ, რომ მუშაობა გაგვიადვილდეს. მსაჯები, ფიზორგები უნდა გახდნენ ის ბირთვი, რომლის საშუალებითაც კომიტეტმა მთელი საქმიანობა უნდა წარმართოს. საჭიროა არა მარტო მომზადება, არამედ მათ შემდგომ დაოსტატებაზეც ზრუნვა. ადგილობრივი ხასიათის შეჯიბრების ორგანიზატორები ფიზორგები, საზოგადოებრივი ინსტრუქტორები უნდა იყვნენ, ხოლო შეჯიბრებას უნდა წარმართავდნენ საზოგადოებრივი მსაჯები.

ზოგიერთი კომიტეტის თავმჯდომარე ფიქრობს, რომ რადგანაც საზოგადოებრივი კადრების მომზადება არ იგეგმება, ამიტომ შეიძლება მას გვერდი ავუაროთ. ასეთ თავმჯდომარეს არ ესმის საზოგადოებრივი კადრების ნამდვილი, დიდი მნიშვნელობა, ხოლო როდესაც მისი საქმიანობის შემოწმებაზე მიდგება ჯერი, ასტეხს წუწუნს: „მე ერთი ვარ მთელ რაიონში, არავინ მეხმარება, ყველაფერს ვერ ვწვდები“. მაგალითად, კასპის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე უჩიოდა იმას, რომ რაიონული კომიტეტი მხოლოდ ერთი საშტატო ერთეულისაგან შედგებაო, მე მარტო არ შემიძლია გუნდების გამოყვანა, ნიშნოსნების მომზადებაზე კონტროლი და, საერთოდ, ასეთი დიდი ორგანიზაციის ხელმძღვანელობის გაწევაო. მაგრამ რატომ ავიწყდება მას აქტივი, საზოგადოებრივი კადრები? პასუხი ერთია: ან ასეთი არა ჰყავს, ან კიდევ ჰყავს და მისი გამოყენების მნიშვნელობა არ ესმის.

სპორტულ საზოგადოებათა, ფიზკულტურული კომიტეტების მუშაობის ერთერთი მნიშვნელოვანი უბანია საზოგადოებრივი კადრების მომზადება, მათი უნარიანად გამოყენება, დარაზმვა. კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენს საქმეს წარმატება ექნება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ ფართოდ გავშლით თვითმოქმედებას, შემოვიკრებთ აქტივს, ცოცხალ საქმიანობაში ჩავაბამთ ფართო მასებს.

## საბჭოთა სპორტსმენები საზღვარგარეთ

### სირია

საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, თბილისის „დინამო“-ს კალათბურთელთა გუნდი სირიის დედაქალაქ დამასკოში დიდი პოპულარობით სარგებლობს. სტადიონი, სადაც ეწყობა საბჭოთა სპორტსმენების გამოსვლები, მუდამ ხალხითაა სავსე.

19 ოქტომბერს თბილისის დინამოელები მორიგ საერთაშორისო მატჩში შეხვდნენ დამასკოს კლუბის „აგლის“ წარმომადგენლებს. აშკარა იყო საბჭოთა სპორტსმენების უპირატესობა. მათ გაიმარჯვეს ანგარიშით 92:40.

შემდეგი შეხვედრა „დინამოს“ ჰქონდა სირიის კალათბურთელთა ნაკრებთან. მატჩი დამთავრდა საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვებით — 93:42.

მრავალრიცხოვანი მაყურებელი გულთბილად შეხვდა სტუმრების წარმატებას.

### საფრანგეთი

მოსკოვის „დინამოს“ ფეხბურთელები 21 ოქტომბერს ბორდოში შეხვდნენ საფრანგეთის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს — „ჟირონდას“.

მატჩმა უდიდესი ინტერესი გამოიწვია ბორდოს სპორტის მოყვარულთა შორის. სტადიონი სავსე იყო მაყურებლებით.

თამაში დაიწყო დინამოელთა სწრაფი შეტევებით და მალე ილინმა ზუსტი დარტყმით გახსნა ანგარიში. პირველ ტაიმში მოსკოველებს კიდევ ჰქონდათ ანგარიშის გადიდების რამდენიმე მომენტი.

შესვენების შემდეგ ინიციატივა კვლავ დინამოელებს ჰქონდათ. მეორე ბურთი „ჟირონდას“ კარში გაიტანა რიჟკინმა, ხოლო შემდეგ ღოღობერიძემ კარიდან გამოსულ მეკარეს ლამაზად გადააცილა თავზე ბურთი და მატჩი დამთავრდა საბჭოთა ფეხბურთელების გამარჯვებით — 3:0.

28 ოქტომბერს მოსკოვის „დინამო“ მარსელში შეხვდება ქალაქ ლილის გუნდს, ხოლო 3 ნოემბერს პარიზში ითამაშებს „რესინგისა“ და „რეიმსის“ ფეხბურთელთაგან შემდგარ ნაკრებ გუნდთან.

## ეგვიპტელი სპორტსმენები უკრაინაში

### სიმძიმეების აწევა

კიევში, სახელმწიფო ცირკის შენობაში, გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა უკრაინისა და ეგვიპტის ძალოსნებს შორის.

ეგვიპტის ძალოსანთა ნაკრები მსოფლიოში უძლიერესი გუნდია. ამას წინათ ვენაში მსოფლიო პირველობაზე გამართულ შეჯიბრებაში ეგვიპტელებმა საერთო მეოთხე ადგილი დაიკავეს.

შეჯიბრება დაიწყეს მჩატე წონის ძალოსნებმა. უკრაინელმა ნიკმა სამჭიდის ჯამში დააგროვა 297,5 კილოგრამი. ახალგაზრდა საბჭოთა ძალოსანმა 10 კილოგრამით გაუსწრო მსოფლიო ჩემპიონატების მრავალგზის პრიზიორს მაჰმედ ყემალ მაჰგუბს.

ქვემსუბუქ წონაში უკრაინელ მაზურენკოს მეტოქე იყო ყემალ მაჰგუბის ძმა, ოცი წლის ალი მაჰგუბი. გამარჯვება აქაც საბჭოთა ძალოსანმა მოიპოვა.

ვენაში, ეგვიპტელმა სპორტსმენმა საიდ ჰალიფ გოუდამ ვერცხლის მედალი მოიპოვა. ამჯერად მას მოუხდა შერკინება მსუბუქი წონის ახალგაზრდა უკრაინელთან — რიბაკთან. უძლიერესი აქაც საბჭოთა სპორტსმენი აღმოჩნდა — 350 კილოგრამი. ქვესაშუალო წონაში გამოდიოდა მხოლოდ ეგვიპტელი ძალოსანი ისმაილ მოჰამედ რაგაბი. მან სამჭიდის ჯამში დააგროვა 372,5 — 10 კილოგრამით მეტი, ვიდრე ვენაში.

საინტერესო იყო შეჯიბრება საშუალო წონაში. დაძაბული ბრძოლის შემდეგ პირველ ადგილზე გამოვიდა ეგვიპტელი მოჰამედ ალი აბდელ ქერიმი — 387,5 კილოგრამი. უკრაინელი რუდმანი მას 5 კილოგრამით ჩამორჩა. ქვემძიმე წონაში გამოვიდა მხოლოდ საბჭოთა ძალოსანი მატიუზა — 402,5 კილოგრამი.

მძიმე წონაში მონაწილეობდა სამი ძალოსანი, ორი უკრაინიდან — ოსიპა და კომეშოვი და მსოფლიო პირველობის ორგზის პრიზიორი მოჰამედ იბრაჰიმ სალეხი. გაიმარჯვა ოსიპამ — 430 კილოგრამი. კომეშოვს ჰქონდა — 405 კილოგრამი, სალეხს — 392,5.

გუნდური პირველობა 31 ქულით მოიპოვეს უკრაინის ძალოსნებმა. ეგვიპტის გუნდმა დააგროვა — 23 ქულა.

### ჭიდაობა

ერთი დღის შემდეგ იმავე ცირკის შენობაში ერთმანეთს შეხვდნენ უკრაინისა და ეგვიპტის მოჭიდავეები (კლასიკური ჭიდაობა).

უმჩატეს წონაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა შიროკოვმა ქულებით მოუგო ფარახად მოჰამედ ისაუს.

კარგი ტექნიკური მომზადება გამოამჟღავნა ეგვიპტელმა მოჰამედ ელ მაგრაბიმ (ქვემსუბუქი წონა). მესამე წუთზე მან მოუგო შეხვედრა შევჩუკს (უკრაინა).

საინტერესო გამოდგა ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის პუნკინის შეხვედრა ქემელ ბალბასთან. ქულებით გაიმარჯვა უკრაინელმა სპორტსმენმა. ეგვიპტის ჩემპიონმა მძიმე წონაში მოჰამედ ამირ ჰილიალმა დაამარცხა ბოგდანი. დანარჩენ წონით კატეგორიებში გაიმარჯვეს საბჭოთა მოჭიდავეებმა.

საერთაშორისო შეხვედრის საბოლოო შედეგია 6:2 უკრაინის სპორტსმენების სასარგებლოდ.

## ტურნირი იუგოსლავიაში

ბელგრადში გაიხსნა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, რომელიც მიძღვნილია ბელგრადის განთავისუფლების მეათე წლისთავისადმი. ტურნირში მონაწილეობას იღებს 9 ქვეყნის: სსრ კავშირის, იუგოსლავიის, უნგრეთის, შვეიცარიის, იტალიის, არგენტინის, ისრაელის, ინგლისისა და დასავლეთ გერმანიის 20 მოჭადრაკე. ტურნირის მონაწილეთა შორის არის 7 საერთაშორისო გროსმაისტერი და 9 საერთაშორისო ოსტატი.

კენჭის ყრის შედეგად ტურნირის მონაწილეთა რიგითი ნომრები განაწილდა შემდეგნაირად: 1. რაბარი (იუგოსლავია), 2. პეტროსიანი (სსრ კავშირი). 3. კარასლაიჩი (იუგოსლავია), 4. ვეიდი (ინგლისი), 5. ბარცა (უნგრეთი), 6. ნედელკოვიჩი (იუგოსლავია), 7. მილიჩი (იუგოსლავია), 8. ივკოვი (იუგოსლავია), 9. მატანოვიჩი (იუგოსლავია), 10. იოპენი (დასავლეთ გერმანია), 11. ბრონშტეინი (სსრ კავშირი), 12. ჟანიშევიჩი (იუგოსლავია), 13. პირცი (იუგოსლავია), 14. პილნიკი (არგენტინა), 15. ჯურიშევიჩი (იუგოსლავია), 16. ჩერნიაკი (ისრაელი), 17. ტრიფუნოვიჩი (იუგოსლავია), 18. გლიგორიჩი (იუგოსლავია), 19. პორეკა (იტალია), 20. ნიევერგელტი (შვეიცარია).

ტურნირი 13 ნოემბრამდე გასტანს.

## ჩეხოსლოვაკია—საბჭოთა კავშირი

მოსკოვში დამთავრდა საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის მოჭადრაკე ქალთა შორის. გუნდების შემადგენლობაში იყო 6-6 მოჭადრაკე. მონაწილენი ერთმანეთს შეხვდნენ ექვსჯერ. შეხვედრის ანგარიშია 29:7 საბჭოთა მოჭადრაკეების სასარგებლოდ. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა მოჭადრაკემ კ. ზვორიკინამ ექვსივე პარტია მოიგო.

## საქართველოს 1954 წლის ჩემპიონები მძლეოსნობაში

ლ. ანთაძე

ს. რომანოვა

ი. უშაკოვი

ვ. პოზნარი

ე. ფილიევი

გ. ლეჟავა

რ. ტუროვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხალხთა ურღვევი VII მეგობრობის დროშით

## ამიერკავკასიის რესპუბლიკების სპარტაკიადა

### სად წავიდეთ დღეს?

სად წავიდეთ დღეს, რომელ სპორტულ ღონისძიებას დავესწროთ? ასეთი იყო ერევნის მრავალრიცხოვან სპორტის მოყვარულთა, სპარტაკიადის იმ მონაწილეთა გულისწადილი, რომლებიც შეჯიბრებიდან თავისუფალნი იყვნენ, აგრეთვე ჩვენიც, რომლებსაც ძალზე გვაინტერესებდა სამივე რესპუბლიკის თვითეული სპორტსმენის გამოსვლა.

ცირკის ვესტიბიულთან ზღვა ხალხს ძლივს აკავებდნენ ქალაქის მილიციის თანამშრომლები. მათ მუშაობას ისიც აძნელებდა, რომ ცირკის პირდაპირ მოთავსებულ „სპარტაკის" სპორტულ დარბაზში ტანმოვარჯიშეები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. პირველად სპორტული დარბაზისაკენ გავეშურეთ. შეჯიბრებისათვის ემზადებოდნენ ტანმოვარჯიშე ქალები.

2 დღის წინათ ჩატარებულ სავალდებულო ვარჯიშებში დაწინაურდნენ საქართველოს სპორტსმენები: მ. ჯუღელი და ა. ჩარგეიშვილი, აგრეთვე ვასილიევა (სომხეთი). როცა ბჯენით ხტომებში ნებისმიერი ვარჯიშის შესრულებისათვის მ. ჯუღელი მოემზადა, ხალხით სავსე დარბაზი წამით გაინაბა. ამ ვარჯიშის უნაკლო ოსტატი, რომელსაც სპორტის ბევრი მოყვარული და ტანმოვარჯიშე მოუხიბლავს, გრძელი და სწრაფი ნაბიჯით გაემართა იარაღისაკენ. გადამწყვეტ მომენტში ტანი ჰაერში აიჭრა, იარაღს ხელები მძლავრად დაჰკრა, გადაევლო მას და ადგილზე გაქვავდა. დარბაზში გამაყრუებელი ტაშის ცემა ატყდა. „ათი ქულა! ათი ქულა!" გაისმა მაყურებლებში. მაგრამ გულუხვ სპორტის მოყვარულებს ამ იარაღების მსაჯები „მედგრად" დახვდნენ, და როცა მათი მძლავრი იერიში „მოიგერიეს", ჯუღელს შესაფერისი შეფასება—9,7 ქულა მისცეს. ჯუღელმა მაღალი შეფასება მოიპოვა რგოლებსა და თავისუფალი ვარჯიშის შესრულებისათვის — 9,6 და 9,4. წარმატება მოიპოვა აგრეთვე ახალგაზრდა სპორტსმენმა ა. ჩარგეიშვილმა, რომელმაც კარგი შეფასება დაიმსახურა თავისუფალ ვარჯიშში, ორძელსა და რგოლებზე. სპარტაკიადაში გამარჯვებულის სახელი დაიმსახურა მ. ჯუღელმა, მეორე ადგილზე გავიდა ა. ჩარგეიშვილი, მესამეზე — ვასილიევა (სომხეთი).

ვაჟები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ნებისმიერი ვარჯიშების შესრულებაში. მონაწილეთა შორის იყვნენ უძლიერესი სპორტსმენები, მსოფლიოს ჩემპიონები, გ. შაგინიანი, ა. აზარიანი, მსოფლიოს პირველობის მონაწილე ვ. ჯაიანი და სხვ. თავისუფალი ვარჯიში ყველაზე კარგად შეასრულა სპორტის ოსტატმა ვ. ჯაიანმა (9,5 ქულა), ტაიჭზე, ღერძსა და ორძელზე ყველას აჯობა გ. შაგინიანმა, რომელსაც მსაჯებმა 9,7-9,6,-9,8 ქულა მიანიჭეს. სავალდებულო ვარჯიშში პირველობა სომხეთის სპორტსმენებმა დაიმსახურეს.

ნებისმიერი ვარჯიშის შესრულებისას პირველი ადგილი დაიკავა სომხეთის გუნდმა, მეორე — აზერბაიჯანმა. საქართველოს გუნდი შეჯიბრებაში არ მონაწილეობდა.

### უკანასკნელ ეტაპზე

ერევნის რესპუბლიკური სტადიონის ცენტრალური შესასვლელის ხის ზღურბლს რომ გადავაბიჯეთ (ხის იმიტომ, რომ ეს შესანიშნავი სპორტული ნაგებობა ამჟამად დამთავრების ფაზაშია), კარებთან ჩვენი დელეგაციის ექიმი დაგვხვდა.

— ყველაფერი რიგზეა, ამხანაგო ექიმო, კლიენტები არ გაწუხებენ და თავისუფლად დასეირნობთ? — გავეხუმრეთ ექიმს.

თითქოს ჩვენს მისვლას ელოდებოდნენ, სტადიონზე შესვლისთანავე დამბაჩის სროლის ხმა მოგვესმა, სტარტს ოთხი სპორტსმენი ქალი მოწყდა. დაიწყო ამანათრბენი 4×100 მეტრზე. სამ ეტაპზე ჩვენი რესპუბლიკის გუნდის წარმომადგენლები ლიდერობდნენ, მაგრამ უკანასკნელ 100 მეტრზე ყველას მოლოდინს გადააჭარბა ძერჟინსკის სახელობის ერევნის საშუალო სკოლის მე-9 კლასელმა ერა ვოსკანიანმა, რომელმაც უკან ჩამოიტოვა წინ წასული აზერბაიჯანისა და საქართველოს გუნდის წარმომადგენლები და ამანათი პირველმა მიიტანა ფინიშთან.

შეჯიბრების უკანასკნელი ორი დღე თითქმის ყველაზე დაძაბული გამოდგა, რადგან აქ წყდებოდა გუნდური პირველობისა და აგრეთვე მომდევნო ადგილების ბედი. მესამე დღეს საქართველოს მძლეოსნებმა 27.630 ქულა დააგროვეს და უკვე გაინაღდეს პირველი გუნდური ადგილი. 110 მეტრზე თარჯრბენში ფინიშთან პირველი მივიდა საქართველოს გუნდის წევრი გ. ლეჟავა. მისი დრო 15,2 წამი, ჩვენი რესპუბლიკის მძლეოსნის წარმატებით დამთავრდა აგრეთვე შეჯიბრება ჭოკით ხტომაში. აქ ი. მუქუროვმა 3 მეტრი და 70 სანტიმეტრი სიმაღლე გადალახა და პირველი ადგილი გაინაღდა. წინაღობებით 3.000 მეტრზე რბენაში უძლიერესი აღმოჩნდა სპორტის ოსტატი ვ. მეშჩერიაკოვი (აზერბაიჯანი). გამარჯვებულის დრო 9 წუთი 32,8 წამი. ორი პირველი ადგილი მოიპოვეს აზერბაიჯანის გუნდის წევრებმა. სპორტის ოსტატმა ს. ნენაშევმა ურო ტყორცნა 54 მეტრსა და 9 სანტიმეტრზე. ხოლო სიგრძეზე ხტომაში პირველობდა სპორტსმენი ქალი ა. ანიუტინა. ვაჟთა შორის 200 მეტრზე რბენაში ფინიშთან პირველი მივიდა ლ. ანთაძე, 80 მეტრზე თარჯრბენში — მ. ქოჩლაძე, სიმაღლეზე ხტომაში გაიმარჯვა პავლოვამ (საქართველო) — 1 მეტრი და 58 სანტიმეტრი.

### ჩოგბურთი, ხუთჭიდი

26 კომისრის სახელობის პარკის ჩოგბურთის მოედანზე მიმდინარეობდა ჩოგბურთელთა შეჯიბრება. საინტერესო გამოდგა საქართველოსა და აზერბაიჯანის გუნდების თამაში. თითქმის 4 საათი გაგრძელდა გ. კოკაიას (საქართველო) და ო. სპირიდონოვის (აზერბაიჯანი) შეხვედრა. 4 პარტიის შემდეგ ანგარიში იყო 2:2. გადამწყვეტ პარტიაში ქართველმა სპორტსმენმა მაღალი ოსტატობა გამოავლინა და გაიმარჯვა. საქართველოს გუნდის წევრის ვ. ურაევსკის გამარჯვებით დამთავრდა მისი შეხვედრა აზერბაიჯანელ ს. მირზასთან. ჩვენი რესპუბლიკისა და აზერბაიჯანის გუნდების შეხვედრის ანგარიშია — 4:1 საქართველოს გუნდის სასარგებლოდ. ჩვენ გავიმარჯვეთ აგრეთვე სომხეთის კოლექტივთან (5:0). სომხეთის ჩოგბურთელებმა მოუგეს აზერბაიჯანის კოლექტივს — 3:2.

თანამედროვე ხუთჭიდში შეჯიბრების პირველ დღიდანვე დაწინაურდა საქართველოს გუნდი. ცხენოსნობაში პირველობდა რ. მანჯავიძე, მანვე გაიმარჯვა ფარიკაობაში. სროლაში ყველას აჯობა აგახანიანმა (სომხეთი), ცურვაში — ა. პევცოვმა (საქართველო), ხოლო 4 კილომეტრზე კროსში — ი. მიხაილიცკიმ (საქართველო).

### ველოსიპედისტები გზატკეცილზე

სპარტაკიადის მონაწილე ველოსიპედისტები ცოტა განაწყენებული დაგვხვდნენ. მათი გულისწყრომა გასაგები იყო. ასპარეზობის ადგილას, რომელიც ქალაქიდან 12 კილომეტრით იყო დაშორებული, მაყურებელთა მცირე რაოდენობას მოეყარა თავი. ქალაქის ავტოსადგურმა ვერ უზრუნველყო შეჯიბრებაზე დასწრების მრავალი მსურველის ავტობუსებით გადაყვანა. მთავარი მსაჯის ა. კუსტოვის ნიშანზე 11 მონაწილე ქალი მოწყდა სტარტს. მათ 150 მეტრი მოასფალტებულ გზატკეცილზე გაიარეს, შემდეგ უნდა გადაელახათ აღმართები, თავდაღმართები და სხვადასხვა დაბრკოლებანი. თავიდანვე დაწინაურდნენ მ. ხეჩოიანი (საქართველო), ნ. აბოლმასოვა და ვ. გულიაევა (ორივე სომხეთიდან). აი, გულიაევა შეუდგა აღმართს, უეცრად ქვას დაეჯახა და წაიქცა, წინ გაუშვა მოწინააღმდეგე, მაგრამ არ გასულა ცოტა ხანი, რომ იგი კვლავ წინ გაიჭრა. დაეწია წინწასულებს, გაუსწრო კიდეც მათ და პირველმა დაამთავრა დისტანცია. ვ. გულიაევამ 15 კილომეტრი 35:30,0 წამში დაფარა.

ვაჟებს უნდა გაევლოთ 30 კილომეტრი. მონაწილეთა შორის იყვნენ უძლიერესი სპორტსმენები ს. პანკრატოვი, ქ. შენგელია (საქართველო), ს. მანუკიანი, ე. აკოფიანი (სომხეთი), ც. ანუფრიევი, ვ. კონოვი (აზერბაიჯანი) და სხვ. შეჯიბრებას თავიდანვე სათავეში ჩაუდგა ს. პანკრატოვი და პირველმა დაამთავრა დისტანცია. მან აჩვენა დრო 1 წუთი და 30 წამი. როგორც ქალთა, ისე ვაჟთა გუნდებს შორის პირველი ადგილი დაიკავეს სომხეთის კოლექტივებმა.

ერევანში 5 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა სპორტულად საინტერესო ბრძოლები ამიერკავკასიის რესპუბლიკების მე-7 ტრადიციულ სპარტაკიადაში პირველობის მოპოვებისათვის. სპარტაკიადის საბოლოო შედეგი ასეთია: გუნდური პირველობა: 1. საქართველო; 2. სომხეთი; 3. აზერბაიჯანი.

**მძლეოსნობა**: 1. საქართველო; 2. სომხეთი; 3. აზერბაიჯანი. **ცურვა**: 1. საქართველო, 2. აზერბაიჯანი; 3. სომხეთი. **კალათბურთი**: ვაჟები — 1. სომხეთი; 2. საქართველო; 3. აზერბაიჯანი. ქალები — 1. საქართველო; 2. სომხეთი; 3. აზერბაიჯანი. **ფრენბურთი**: ვაჟები — 1. საქართველო; 2. აზერბაიჯანი; 3. სომხეთი. ქალები — 1. საქართველო; 2. აზერბაიჯანი; 3. სომხეთი. **ჩოგბურთი**: 1. საქართველო; 2. სომხეთი; 3. აზერბაიჯანი. **ველოსპორტი**: 1. სომხეთი; 2. აზერბაიჯანი; 3. საქართველო. **წყალბურთი**: 1. აზერბაიჯანი; 2. საქართველო; 3. სომხეთი. **ძალოსნობა**: 1. საქართველო; 2. სომხეთი; 3. აზერბაიჯანი. **კლასიკური ჭიდაობა**: 1. საქართველო; 2. სომხეთი; 3. აზერბაიჯანი. **კრივი**: 1. სომხეთი, 2. საქართველო; 3. აზერბაიჯანი. **ფეხბურთი**: 1. სომხეთი; 2. საქართველო; 3. აზერბაიჯანი. **ხუთჭიდი**: 1. საქართველო; 2. აზერბაიჯანი, 3. სომხეთი. **ცხენოსნობა**: 1. საქართველო; 2. სომხეთი; 3. აზერბაიჯანი. **ტანვარჯიშში**: 1 სომხეთი, 2. აზერბაიჯანი; 3. საქართველო. **წყალში ხტომა**: 1. საქართველო; 2. აზერბაიჯანი; 3. სომხეთი.

### დამაჯერებელი მოგება

საშიში და შეუბრალებელი მეტოქე! — ასე უწოდებდნენ ერევნელები საქართველოს ფრენბურთელ ქალთა გუნდს, რომლის ძირითადი შემადგენლობა სპორტის ოსტატებით იყო დაკომპლექტებული. ამ კოლექტივმა ადვილად მოუგო სომხეთის ფრენბურთელებს, ხოლო აზერბაიჯანელებთან შეხვედრაში თუმცა მეორე პარტიაში დამარცხება განიცადა, მაინც მოიპოვა გამარჯვება. ვაჟთა შორის პირველობის საკითხს წყვეტდა საქართველოსა და აზერბაიჯანის გუნდების შეხვედრა. ორივე კოლექტივს გამარჯვება ჰქონდა ჩაწერილი სომხეთის ფრენბურთელებთან. თამაშმა მაყურებლის მოლოდინი გაამართლა. მართლაც მოედანზე დაძაბული ბრძოლა გაიმართა თვითეული ქულისათვის, გამარჯვების მოპოვებისათვის. 4 პარტიის შემდეგ ანგარიში იყო 2:2. მეტად მღელვარე გამოდგა გადამწყვეტი—მეხუთე პარტია. აქ აშკარა გახდა ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენთა უპირატესობა, რომლებმაც გაიმარჯვეს და მოიპოვეს პირველი ადგილი.

დიდი იყო საქართველოსა და სომხეთის კალათბურთელთა გუნდების შეხვედრისადმი ინტერესი. პირველად ქალთა კოლექტივებმა ითამაშეს. 37 წუთის განმავლობაში ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებმა ვერ შეძლეს მოწინააღმდეგისათვის დიდი ანგარიშით გასწრება. მხოლოდ თამაშის დამთავრებამდე 3 წუთით ადრე ისინი უფრო გააქტიურდნენ, მთლიანად ხელთ იგდეს ინიციატივა და შეხვედრა მოიგეს ანგარიშით 45:31.

ვაჟთა გუნდების თამაში 40 წუთი ფრედ — 51:51 დამთავრდა. პირველ დამატებით 5 წუთში გამარჯვება მოიპოვეს სომეხმა სპორტსმენებმა — 59:53.





### მამათა კვალზე

ამდენი მაყურებელი ჯერ არ გვინახავსო, — ამბობდნენ ერევნის სახელმწიფო ცირკის თანამშრომლები, როცა იქ კრივსა და კლასიკურ ჭიდაობაში ასპარეზობა მიმდინარეობდა.

აზერბაიჯანისა და საქართველოს მოკრივეთა შეხვედრაში გამარჯვება მოიპოვეს საქართველოს წარმომადგენლებმა — 6:4. თავიანთი შეხვედრები მოიგეს კალაჯევმა, გუბაევმა, ოგანეზოვმა, გ. დარბაისელმა, მიქაელიანმა და ზაზახანიძემ. სომხეთის გუნდთან შეხვედრა ჩვენი რესპუბლიკის მოკრივეებმა სპორტულად დაბალ დონეზე ჩაატარეს და დამარცხდნენ — 3:7.

ჩვენი მოჭიდავეები პირველად სომხეთის კოლექტივს შეხვდნენ. უმძიმესი და მძიმე წონის მოჭიდავეები, სპორტის ოსტატები ვეშაგური და ჩიტიაშვილი დამარცხდნენ. ქვემსუბუქ წონაში ძნელაძემ პირველი ქულა მოუტანა თავის გუნდს. მან კარგად მოუგო ასატრიანს. ასევე გაიმარჯვეს ფირცხალაიშვილმა ხაჩატრიანთან და მაისურაძემ — ამბარცუმიანთან. მხოლოდ სამიოდე წუთი დასჭირდა სპორტის დამსახურებულ ოსტატს დ. ციმაკურიძეს ბაგრამიანთან შეხვედრაში. ქართველმა სპორტსმენმა შესანიშნავი ფანდით ბეჭებზე დასცა მოწინააღმდეგე. ჭიდაობის კარგი ტექნიკა და ტაქტიკა აჩვენა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა შ. ჩიხლაძემ ბალტაიანთან შეხვედრაში.

მსაჯმა სარბიელზე მძიმე წონის სპორტსმენები ო. კანდელაკი და აბრამიანი გამოიძახა. მაყურებელი ელოდა, რომ საინტერესო ორთაბრძოლის მოწმე გახდებოდა, მაგრამ მათ სურვილს კანდელაკმა „ცივი წყალი გადაასხა". მოწინააღმდეგეზე ორ წუთში გაიმარჯვა ისე, რომ აბრამიანი ფეხებს ჰაერში ასავსავებდა, ხოლო ბეჭებით ხალიჩაზე იყო მიკრული. მატჩი მოიგეს ქართველმა მოჭიდავეებმა — 6:2.

საქართველოსა და აზერბაიჯანის მოჭიდავეთა მატჩის დაწყებამდე ცირკის კულისებში მოვხვდით. აქ უკვე შეკრებილიყვნენ შეხვედრის მონაწილენი. ერთ კუთხეში ორი მაღალი ტანის ახალგაზრდა იდგა, ერთი ოთარ კანდელაკი იყო, მეორე...

ო. კანდელაკის მიერ ბუდაპეშტში მოპოვებული წარმატებების შესახებ, მისმა გამარჯვებებმა მსოფლიოს უძლიერეს სპორტსმენებთან, ყველა აღაფრთოვანა. როცა აზერბაიჯანელი ცნობილი მოჭიდავე, ძალოსანი სალი-სულეიმანი გაზეთს ათვალიერებდა და მასში ამოიკითხა, რომ სტუდენტთა საერთაშორისო თამაშების ჩემპიონის სახელი ო. კანდელაკმა დაისაკუთრა, იქვე მჯდომ ვაჟს ჰკითხა:

— ეს სანდრო კანდელაკის ვაჟი ხომ არ არის, ჩემი ძველი მეტოქისა და მეგობრის, — როცა შვილისაგან დადებითი პასუხი მიიღო, გაიღიმა, — იქნებ ჩვენი შვილებიც შეხვდნენ ერთმანეთს. რატომ არა, იბრაგიმიც ხომ მოჭიდავეა. მისი მწვრთნელი ხშირად მეუბნება, კარგი მოჭიდავე დადგებაო.

ერევნის ცირკის კულისებში ოთარისთან სწორედ სალი-სულეიმანის შვილი იბრაგიმი იდგა. ამ დღეს იგი ხვდებოდა კანდელაკს. თავისი ძალა უნდა გამოეცადა, ახალგაზრდა, მაგრამ უკვე გამოცდილ მოჭიდავესთან. მათი შებმა დიდხანს არ გაგრძელებულა. ორ წუთში ყველაფერი დამთავრდა — კანდელაკმა სძლია მოწინააღმდეგეს. საქართველოს გუნდმა ამ შეხვედრაშიც გამოავლინა თავისი სიძლიერე და გაიმარჯვა — 5:3.

### რეკორდების წვიმა

ბაქოში ჩასულებს სადგურზე გულთბილად შემოგვეგებნენ აზერბაიჯანელი სპორტსმენები. მალე ყველა ჩინებულად მოვეწყეთ და შევუდექით სამზადისს მომავალი ბრძოლისათვის. ვინც აზერბაიჯანის დედაქალაქში ყოფილა მოცურავეთა შეჯიბრებაზე, ის კარგად იცნობს „ნეფტიანიკის" შესანიშნავ ზამთრის საცურაო აუზს.

შეჯიბრება საქართველოს წარმომადგენლებმა დავიწყეთ და პირველი წარმატებაც მოვიპოვეთ. თბილისელმა ჩერნიშოვმა 100 მეტრზე ნებისმიერი სტილით ცურვაში დაამყარა ჭაბუკთა რესპუბლიკური რეკორდი — 1:01,8. მალე მას უფროსი ამხანაგი ვ. ბუკარევი მიყვა და საქართველოს გუნდმა თავის აქტივში ახალი რესპუბლიკური რეკორდი ჩაიწერა. მან 200 მეტრი ბრასის სტილით 2:40,1-ში გაცურა.

ვაჟების მაგალითმა მოცურავე ქალებიც წაახალისა. ნ. გიორგიევსკაიამ (თბილისი) 100 მეტრი ზურგზე გაცურა — 1:22,9. — ახალი რესპუბლიკური რეკორდი! — გაისმა ხალხში დიქტორის ხმა, რომელიც მქუხარე ტაშმა დაფარა. რეკორდების დამყარების ექსტაზში შესულ სპოტსმენებს უკვე წარმოდგენილი არც კი ჰქონდათ დისტანციის ურეკორდო დამთავრება. ასეც მოხდა. რ. ვორონინამ (საქართველო) ბატერფლაით სარეკორდო დროში გაცურა (1:28,7). შემდეგ მას კიდევ ერთხელ მოუხდა წყალში ჩასვლა. ამჯერად უნდა დაეძლია ბრასის სტილით 200 მეტრი. მან დისტანცია არაჩვეულებრივად მსუბუქად და ამავე დროს ენერგიულად გაცურა და შედეგიც შესაფერისი იყო — 3:08,9. აუზიდან ვორონინა უკვე ორგზის რეკორდსმენი ამოვიდა.

ნებისმიერი სტილით ცურვა 100 მეტრზე ქალთა შორის მოიგო ნეჟიერმა რ. არკადიევამ — 1:13,5, ვაჟთა შორის კი — ვ. ლავრინენკომ — 59,9.

ორი რესპუბლიკური რეკორდი იქნა დამყარებული საქართველოს სპორტსმენების მიერ ამანათცურვაშიც. ქალებმა თავი ისახელეს 4×100 მეტრზე ნებისმიერი სტილით, ვაჟებმა კი — 4×200 მეტრზე ამავე სტილით ცურვაში.

— რეკორდების წვიმა! — ასე უწოდეს ბაქოელმა სპორტის მოყვარულებმა ამ შეჯიბრებაში საქართველოს მოცურავეთა გამოსვლებს.

საქართველოს მოცურავეებმა 11 პირველი ადგილი მოიპოვეს 12-დან. მეორე ადგილზე გამოვიდა აზერბაიჯანის გუნდი, მესამეზე — სომხეთი.

მაღალ წარმატებებს მიაღწიეს ჩვენი რესპუბლიკის წყალში მხტომელებმაც. ტრამპლინიდან ხტომაში ქალთა შორის პირველი იყო ტ. ინწკირველი. მეორე ადგილზე გამოვიდა საქართველოს ჩემპიონი ნ. კანტაკუზინა. ვაჟთა შორის ხტომის ამ სახეობაში გაიმარჯვა ვ. ინწკირველმა. ქალთა შორის კოშკურიდან ხტომაში პირველი ადგილი დაიკავა ჩებოტარიოვამ (საქართველო), ვაჟთა შორის — ლავასასმა (საქართველო).

წყალბურთში უძლიერესი უნდა გამოვლინებულიყო საქართველო-აზერბაიჯანის ფინალურ შეხვედრაში. აზერბაიჯანელებმა (5:4) მოიგეს გადამწყვეტი შეხვედრა და პირველი ადგილი დაიკავეს. მეორე ადგილზე გამოვიდა საქართველოს გუნდი, რომელმაც დაამარცხა სომხეთის წყალბურთელთა კოლექტივი — 12:1.

**ნ. მუსასტიკოვი,**
**ვ. ინწკირველი.**
**ზ. ჯაფარიძე.**

* * *

21 ოქტომბერს ერევნის ფილარმონიის დიდ დარბაზში მოხდა ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების მე-7 ტრადიციული სპარტაკიადის საზეიმო დახურვა. გამარჯვებულის გარდამავალი წითელი დროშა და დიპლომი გადაეცა საქართველოს სპორტულ კოლექტივს.

* * *

**სურათებზე:** მარცხნიდან ველოსიპედისტები დისტანციაზე, მსოფლიო რეკორდსმენი მ. აკოპიანცი, დ. ციმაკურიძემ გაიმარჯვა, სომხეთისა და საქართველოს კალათბურთელთა შეხვედრა. ზევით — სალი-სულეიმანის შვილი იბრაგიმი და ო. კანდელაკი.

ფოტო მ. ზარგარიანისა

### ვიბრძოლებთ უკეთესი შედეგებისათვის

ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფიზკულტურელთა სპარტაკიადა ხალხთა ურღვევი მეგობრობის საქმეს ემსახურება.

მიუხედავად იმისა, რომ მეშვიდე ტრადიციულ სპარტაკიადაში ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები მესამე ადგილზე გამოვიდნენ, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ცალკეულთა წარმატებებს.

რა შეგვიძლია ვთქვათ ჩვენს თავზე? აზერბაიჯანის სპორტსმენთა კოლექტივის თითქმის არც ერთი წევრი თავისი შედეგით არ არის კმაყოფილი. მათ, რა თქმა უნდა, უკეთესი წარმატებების მოპოვება შეეძლოთ. დაგვრჩენია ვთქვათ მხოლოდ ერთი: ყველა ზომას ვიხმართ, რათა ამ სპარტაკიადიდან სათანადო დასკვნები გავაკეთოთ, ვიბრძოლოთ რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი აღმავლობისათვის.

**ხ. მადათოვი,**
სპორტის ოსტატი.



### ვიბრძოლებთ უკეთესი შედეგებისათვის

ახლა, როცა რამდენიმე დღის დაძაბული ბრძოლის შემდეგ სპარტაკიადა დამთავრდა, უდიდესი სიხარულის და სიამაყის გრძნობა მიპყრობს: შევძელი ჩემი მეგობრების ნდობის გამართლება და აჭიმვაში დავამყარე ახალი მსოფლიო რეკორდი — 128,3 კილოგრამი. მე მწამს, რომ ეს არ არის ჩემი უკანასკნელი წარმატება.

წინა სპარტაკიადებთან შედარებით სომხეთის სპორტსმენებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს. თუ გასულ წელს ჩვენ მხოლოდ ერთი პირველი ადგილის მფლობელები ვიყავით (ველოსპორტში), VII სპარტაკიადაში პირველი ადგილების რიცხვი ხუთამდე გაიზარდა. საწვრთნელი მეცადინეობის მაღალ დონეზე დაყენებითა და სპარტაკიადაზე მიღებული გამოცდილების განზოგადებით ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები განამტკიცებენ მიღწეულ წარმატებებს და შემდგომ უკეთეს მაჩვენებლებს მოიპოვებენ.

**მ. აკოპიანცი,**
სპორტის ოსტატი.



ფეხბურთელთა საკავშირო თასი ვარ,
მოსკოვში ვარ, დამელოცოს გაჩენა!
მხოლოდ ერთხელ მომიტაცა „ზენიტმა"
და ერთი წლით ლენინგრადი მაჩვენა.
კავკასიის სიო ბევრჯერ მიგრძნია,
თუმცა იქ რომ არ ვყოფილვარ,
— რა მეთქმის...

მე ძმაცა მყავს — თასი კალათბურთელთა.
აი, იმან მოიარა სამხრეთი!
ბრძოლის მკერდზე ამომკვეთეს „კიევი",
რომ მეორედ გამგზავრება მენებოს —
მივაბიჯებ მზიურ უკრაინისკენ!..
„ხაი ჟივე", ჩემო კიეველებო!

ლექსი ქ. კახრაძისა.

# თასი კიეველებმა მოიპოვეს

20 ოქტომბერს მოსკოვის „დინამოს" სტადიონზე გაიმართა ფეხბურთში სსრ კავშირის 1954 წლის თასის გათამაშების ფინალური მატჩი. თასისათვის ბრძოლის 15 წლის ისტორიაში პირველად არ მოხვდა ფინალში მოსკოვის არც ერთი გუნდი და, გარდა ამისა, მასში პირველად გავიდნენ კიევის „დინამო" და ერევნის „სპარტაკი". მხოლოდ ამ ორმა გუნდმა მრავალი ათასიდან შეძლო დაუმარცხებლად ჩაეტარებია ყველა თამაში.

თამაშის პირველი 30 წუთის მანძილზე ვერც ერთმა გუნდმა ვერ მოახერხა ანგარიშის გახსნა, თუმცა ამისი საშუალება ჰქონდათ როგორც დინამოელებს, ისე სპარტაკელებს. 35-ე წუთზე კიეველთა ერთ-ერთი იერიში ზუსტი დარტყმით დაამთავრა მარჯვენა გარემარბმა ტერენტიევმა — 1:0. დარჩენილ დროში ანგარიში არ შეცვლილა.

მეორე ტაიმი დაიწყო „სპარტაკის" მწვავე შეტევით. მე-5 წუთზე „დინამოს" კართან შეიქმნა კრიტიკული მდგომარეობა. მცველებმა ვერ მოასწრეს ერევნელთა მარცხენა შუამარბის მერკულოვის დაკეტვა და მან საპასუხო ბურთი გაიტანა—1:1.

ამის შემდეგ შეტევაზე კარგა ხნით სპარტაკელები იყვნენ. მერკულოვმა, კეგიანმა და კარაჯიანმა დაკარგეს ბურთის გატანის რეალური საშუალება. სრული დატვირთვით თამაშობდა კიეველთა გუნდის დაცვა — პოპოვიჩი, გოლუბევი, მიხალინა და მეკარე მაკაროვი. დინამოელებმა მოიგერიეს მოწინააღმდეგის შეტევა და კონტრიერიშზე გადავიდნენ. სახიფათოდ გადიან კართან ზაზროევი, ფომინი, ბოგდანოვიჩი. 26-ე წუთზე ერევნელთა კართან გაიჭრა კომანი, დაასწრო მეკარეს და კარში გაგზავნა ბურთი, რომელმაც გადაწყვიტა მატჩის ბედი კიევის „დინამოს" სასარგებლოდ — 2:1.

კიეველებს გადაეცათ თასი, რომელზეც ამოკვეთილი იქნა მე-15 წარწერა: „დინამო" (კიევი) — 1954 წელი.

# კერესი–შაიტარი

## პარტია გათამაშებულია მსოფლიოს გუნდურ პირველობაზე

1. e4 c5 2. მf3 d6 3. d4 cd 4. მ:d4 მf6 5. მc3 a6 6. კg5 მbd7 (აქ უმჯობესია 6. ... e6) 7. კc4 (პარტიაში გათამაშდა სიცილიური დაცვის აქტუალური ვარიანტი. ჩვეულებრივ ამ სადებიუტო სისტემაში თეთრები უტევენ მეფის, ხოლო შავები ლაზიერის ფრთას. მაგრამ კერესს უნდა კუს ორ პაიკში შეწირვით გამოიყენოს შავი ფიგურების შეზღუდული მდგომარეობა. თეორიაში მიღებულია 7. კe2) 7. ... e6 8. 0—0 ლc7 9. კ:e6! (ძნელი დასაჯერებელია, რომ შაიტარი ამ შეწირვას ვერ ხედავდა. მაგრამ ამ კომბინაციას ორივე მეტოქე სხვადასხვანაირად აფასებდა. თუ კერესი თვლიდა, რომ თეთრები შეწირვაში კომპესაციად ხანგრძლივ ინიციატივას ღებულობენ, შაიტარი ალბათ ფიქრობდა, რომ თეთრების ინიციატივა მალე დაცხრება და მატერიალური უპირატესობა თავისას გაიტანს. რასაკვირველია ის უამრავი ვარიანტი, რაც შეწირვას მოჰყვა, არც კერესს და არც შაიტარს არ შეეძლოთ დეტალებში გაეთვალისწინებიათ. კერესი მხოლოდ ზოგადი მოსაზრების საფუძველზე წავიდა ამ რისკიან გაგრძელებაზე) 9. ... fe 10. მ:e6 ლc4 11. მd5



შეიქმნა კრიტიკული მდგომარეობა. თეთრების მსუბუქი ფიგურები იერიშში არიან ჩაბმულნი. სამაგიეროდ შავი ფიგურები გარდა იმისა, რომ ერთმანეთს ხელს უშლიან, ძალზე ჩამორჩებიან განვითარებაში. კერესის მუქარები კონკრეტულია და ამიტომ პირველ რიგში საჭიროა მათი ნეიტრალიზაცია) 11. ... მფf7 (თავის დაღწევა მec7+-საგან. უარესი იქნებოდა 11. ... მ:d5 12. ed მe5 13. b3 ლc3 14. კd2 ეტლის მოგებით. არც 12. ... მფf7 შველოდა შავებს, რადგან 13. ლh5+ g6 14. ლf3+ მფg8 15. b3 ლb4 16. ეae1 შემდეგ თეთრები ამზადებენ 17. მ:f8 მ:f8 18. ეe8 მოგებით. ამის წინააღმდეგ შავებს დაცვა არ აქვთ. თუ 11. ... ეb8, მაშინ 12. ლh5+g6 13. ლf3 ძლიერი იერიშით) 12. კ:f6! (კერესი ჩინებულად აგრძელებს იერიშს. შავები დიდი არჩევანის წინაშე აღმოჩნდნენ. ისინი თამაშობენ) 12. ... მფ:e6 (სხვა გაგრძელებებიც თეთრებს მდიდარ თამაშს აძლევდა. განვიხილოთ ზოგიერთი:

I. 14. ... gf 15. ლh5+ მფ:e6 16. ლe8+ კe7 17. ლ:e7×. თუ 15. ... მფg8, მაშინ 16. ლe8 და მf6 f8-დან შამათის მუქარით.

II. 14. ... მ:f6 15. b3! საინტერესო პოზიციაა. შავი ლაზიერის ყველა სვლა აგებს. მაგალითად თუ 15. ... ლ:e4 16. მg5+. თუ 15. ... ლc6 16. მd8+. თუ 15. ... ლb5 16. მec7 ლ:c6 17. მ:a8 მოგებით) 13. კc3 მf6 14. კ:f6 (კერესი იგებს ეტლს. ამ სვლის თამაშის დროს კერესს აუცილებლად უნდა გაეთვალისწინებია მდგომარეობა მე-18 სვლის შემდეგ, სადაც, როგორც შემდგომ დავინახავთ, მოგება არც თუ ისე ადვილი მოსაძებნია. ამიტომ ჯობდა ერთბაშად 14. მb6 ინიციატივით) 14. ... gf 15. მb6 ლc6 16. მ:a8 კe7 17. a4 b6 18. ეa3 კd8? (შეცდომა. შაიტარს უნდა აეყვანა მხედარი a8-ზე. მაგრამ პოზიციის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამის შემდეგ თეთრებს მაინც მოგების შანსები აქვთ. მაგალითად: 19. ლg4+ მფf7 20. ლh5+ მფf8 და არა 20. ... მფe6, რადგან 21. ეg3—g7 მუქარის გამო შავები წაგებულ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან. 21. ლh6+ მფe8 22. ლg7 ეf8 23. ლ:h7 მატერიალური უპირატესობით) 19. ლd5+მფd7 (თუ 19. ... ლ:d5 20. ed+ მფ:d5 21. ეc3 და თეთრები მხედარს ინარჩუნებენ) 20. მ:b6+ შავები დანებდნენ. თუ 20. ... კ:b6, მაშინ 21. ლf7 + მფd8 22. ლ:f6+ და ლ:h8; თუ 20. ... ლ:b6, მაშინ 21. ლf5 + ფიგურის მოგებით.

◆

# სპორტული ქრონიკა

ამას წინათ დამთავრდა სამედიცინო ინსტიტუტის პირველობა კალათბურთში. ვაჟთა შორის გაიმარჯვა სამკურნალო ფაკულტეტის გუნდმა (რუსული სექტორი). ქალთა შორის — ფარმაცევტული ფაკულტეტის სპორტსმენთა კოლექტივმა.

ა. ისლამოვი

გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სპორტულ დარბაზში გაიმართა ადგილობრივი და წულუკიძის კალათბურთელ ქალთა გუნდების ამხანაგური შეხვედრა.

გაიმარჯვეს გორელმა სპორტსმენებმა — 41:31.

ბ. ნოზაძე

13 ოქტომბერს ლონდონის უაიტსიტის სტადიონზე შედგა მოსკოვისა და ლონდონის მძლეოსანთა ამხანაგური შეჯიბრება, რომელიც მოსკოველთა გამარჯვებით დამთავრდა.

• • •

**სურათზე:** 5.000 მეტრზე რბენის ფინიში. ლონდონელი ჩეტაუეი მკერდით უსწრებს მოსკოველ კუცს.

# საქართველოს პირველობა

17 ოქტომბერს რესპუბლიკის სტადიონებზე გაიმართა ფეხბურთში საქართველოს პირველობის მორიგი კალენდარული მატჩები.

რუსთავში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „მეტალურგი" [illegible] თბილისის 26 კომისრის სახელ[illegible] რაიონის გუნდი. მეტალურგებმა თავის შესაძლებლობაზე დაბლა ითამაშეს და განიცადეს დამარცხება ანგარიშით 1:2.

• • •

კარგად ჩაატარა შეხვედრა ქუთაისში „დინამოს" წინააღმდეგ ზუგდიდის „კრასნაია ზვეზდამ". 90 წუთის განმავლობაში ბურთის გატანა ვერ შეძლო ვერც ერთმა გუნდმა — 0:0.

• • •

ხაშურის „ლოკომოტივი" სოხუმში შეხვდა ადგილობრივ „დინამოს". დინამოელებმა მოწინააღმდეგე დაამარცხეს ანგარიშით 4:1.

• • •

გორში თამაშობდნენ ადგილობრივი და ბათუმის „დინამოს" თანაკლუბელები. საინტერესო მატჩი [illegible]თავრდა ფრედ — 0:0.

# ნაკლოვანებები გათვალისწინებულ უნდა იქნეს

◆

### კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

◆

მცირე ასაკის ბავშვთა შორის მომუშავეთათვის დიდი დახმარების გაწევა შეუძლია პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ს. გრომენკოვის ბროშურას „ფეხბურთი", რომელიც ამას წინათ ქართულად თარგმნა და გამოსცა „სახელგამმა". როგორც თვით ავტორი აღნიშნავს, ბროშურის მიზანია დახმარება გაუწიოს პიონერხელმძღვანელებსა და ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებს ბავშვთა შორის ჩამოაყალიბონ ფეხბურთის სექციები, სადაც ნორჩი ფეხბურთელები შეძლებენ დაეუფლონ ფეხბურთის ტექნიკურ ელემენტებს, შეითვისონ თამაშის ძირითადი წესები.

ს. გრომენკოვს წიგნი დაყოფილი აქვს თავებად. იგი იწყება მეთოდური მითითებებით ფეხბურთის წრის ჩამოყალიბებისათვის, როგორ წარმოებს ბავშვთა შერჩევა გუნდებისათვის და მათ მიერ საექიმო შემოწმების გავლა. დიდ დახმარებას გაუწევს ბავშვებთან მომუშავეებს თავი „მეცადინეობის ჩატარების მეთოდიკა", სადაც მოცემულია პრაქტიკული რჩევა-დარიგებანი მეცადინეობის საერთო სტრუქტურისა და სიმკვრივის შესახებ. გარჩეულია ცალ-ცალკე მეცადინეობის შესავალი, მოსამზადებელი, ძირითადი და დასკვნითი ნაწილები თავისი დოზირებით და ვარჯიშებით.

როგორც აღვნიშნეთ, წიგნი მეტად საჭირო და სასარგებლოა, მაგრამ არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმ ნაკლოვანებებს და ხარვეზებს, რომელიც გააჩნია თვით ავტორს — ს. გრომენკოვს და განსაკუთრებით წიგნის ქართულად მთარგმნელს, რომლის ვინაობა გაურკვეველია.

ზერელედ, სხვათა შორის აქვს დამუშავებული გრომენკოვს თავი „მოთამაშეთა მოვალეობანი", სადაც აღნიშნულის გარდა ვხვდებით არასწორ მეთოდურ მითითებებს და შეცდომებსაც. მაგალითად, იგი წერს: „მეკარისთვის ფეხით თამაში უფრო სარისკოა, ვიდრე ხელით. ამიტომაც მეკარეს ვურჩევთ, უფრო მეტად ითამაშოს ხელებით და არა ფეხებით". არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ბავშვს, რომელიც მეკარედ იწყებს თამაშს, მის მოვალეობებში ფეხით თამაში „უფრო სარისკოდ" განვუმარტოთ და მხოლოდ ვურჩიოთ, რომ მან „უფრო მეტად" ითამაშოს ხელებით. მეკარეს ფეხით თამაში უხდება იშვიათ, მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში, მაშინ, როცა იგი კარგად ერკვევა ტაქტიკურ სიტუაციებში და უშეცდომოდ შეუძლია გაერკვეს შექმნილ მდგომარეობაში. ეს, რა თქმა უნდა, ბავშვს ჯერ არ ძალუძს, ამიტომ მას სხვათა შორის კი არ უნდა ვურჩიოთ ხელით მეტნაკლები თამაში, არამედ დაბეჯითებით მივუთითოთ, რომ შესრულოს მეკარის როლი ე. ი. ითამაშოს მხოლოდ ხელით.

გრომენკოვი წერს, რომ „ცენტრალური თავდამსხმელი მინდორზე ადგილს იკავებს უშუალოდ მოწინააღმდეგის შუამცველის ახლოს". ეს აშკარა შეცდომაა. თანამედროვე ფეხბურთში მრავალი ტაქტიკური კომბინაცია და თავდამსხმელთა განლაგების ვარიანტი იქნა შემუშავებული იმისათვის, რომ ცენტრალური თავდამსხმელი განთავისუფლდეს ცენტრალური მცველისაგან, მოწყდეს მას და მოძებნოს მოქმედებისათვის თავისუფალი არე, თუნდაც სულ მცირე ხნით. თუ ნორჩი ცენტრალური თავდამსხმელი ავტორის რჩევის მიხედვით ადგილს დაიკავებს შუამცველის ახლოს, იგი მხოლოდ შეიზღუდავს თავს და მნიშვნელოვნად გააუარესებს მდგომარეობას.

მნიშვნელოვანი ხასიათის ლაფსუსები და შეცდომებია დაშვებული ქართულ თარგმანში. მასში მრავლად გვხვდება არასწორად ნათარგმნი ადგილები, შეცდომებია დაშვებული ტერმინოლოგიაში, გვხვდება ენობრივი და სტილისტური შეუსაბამობანიც. მაგალითად, მთარგმნელს რუსულიდან პირდაპირ გადმოუტანია **„легкоатлет"** და დაუწერია „მსუბუქი მძლეოსანი", თუმცა მძლეოსნობაში არ არსებობს მძიმედ და მსუბუქად დაყოფა. წიგნში ზოგან ნახმარია „შეჯიბრება" ზოგან „შეჯიბრი" (სწორია პირველი). ასევე პარალელურადაა ნახმარი „ფეხის შემაღლებით დარტყმა" და „ფეხის ამაღლებით დარტყმა". არც ერთი და არც მეორე სწორი არაა. რუსულად ნათქვამია **„удар подъемом по мячу"**, რაც ბურთზე ფეხის ზურგით დარტყმას ნიშნავს.

წიგნში ვხვდებით ასეთ გამოთქმას — „მარჯვენა და მარცხენა ნახევართავდამსხმელები". ფეხბურთში არსებობს ნახევარმცველი, მაგრამ ნახევართავდამსხმელი კი არა, ეტყობა აქ ნახევართავდამსხმელი არეულია შუამარბთან **„полусредний"**.

ქართულ თარგმანში არის ასეთი ადგილი: „მარცხენა და მარჯვენა ნახევარმცველები განლაგდებიან მოედნის ცენტრთან ახლოს და უთვალთვალებენ ნახევართავდამსხმელთა თამაშს". სინამდვილეში ნახევარმცველები კი არ უთვალთვალებენ მოწინააღმდეგე შუამარბების თამაშს, არამედ მათ მჭიდროდ იჭერენ და ზუსტი კონტროლის ქვეშ ყავთ აყვანილი.

34-ე გვერდზე ვკითხულობთ: „ცუდია, როცა დამცველი საკუთარი კარის წინ დაიწყებს მოწინააღმდეგის ტარებას". სინამდვილეში ლაპარაკია იმაზე, რომ მცველი საკუთარი კარის სიახლოვეს არ გაერთოს დრიბლინგით, მოწინააღმდეგის ბურთით მოტყუებით, ე. ი. ბურთის და არა „მოწინააღმდეგის ტარებით".

თარგმანში არის გაუმართავი წინადადებები, რომლებიც სრულ გაუგებრობას იწვევენ. მაგალითად: „ამ შემთხვევაში აუცილებელია არა მარტო შეტევა ბურთზე დაუფლებულ მოთამაშეზე, არამედ ბურთის გადაცემის დროს უნდა ჩაიჭრას იგი და ამით არ ექნეს თავისი გუნდის სხვა მოთამაშისათვის ბურთის გადაცემის საშუალება". ან — „სათამაშოდ მოედნის საზღვრები სავალდებულოა უთუოდ აღინიშნოს, თამაშისადმი ეს გამოიწვევს მეტ ინტერესს და შესაძლებლობას მოგვცემს წესების მიხედვით ჩავატაროთ თამაშის სავარჯიშოები" (?!). გაუგებარია წინადადება 42-ე გვერდზე — „ბურთი თუ წამყვანს მოსცილდა თამაშშია".

ასეთი და სხვა ხასიათის ნაკლოვანებების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. წიგნის გამომცემლებს რომ მეტი გულისყური გამოეჩინათ მასზე მუშაობის დროს, ეს დასახელებული შეცდომები აცილებული იქნებოდა თავიდან.

ქ. გოგიაშვილი

რედაქტორი ი. უზულავა.

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორისა — 3-89-62, პ/მგ მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვებისა — 3-38-25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ № 14.

უე 04689